ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

ქ. ბათუმი 2011 წლის 12 აგვისტო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ,,ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრი" (შემდგომში - მუსიკალური ცენტრი) და საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ,,ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი" (შემდგომში - ხელოვნების უნივერსიტეტი), სარგებლობენ რა ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპით, გამოხატავენ ურთიერთთანამშრომლობის სურვილს, რათა ხელი შეუწყონ ხელოვნების უნივერსიტეტის სტუდენტებს, მაღალი კვალიფიკაციის პროფესიონალებად ჩამოყალიბების, მათი პიროვნული პოტენციალის რეალიზაციის, პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებისა და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციის მქონე კადრების მომზადებისათვის საჭირო ტექნიკური რესურსების უზრუნველყოფაში. ზემოხსენებული მიზნებიდან გამომდინარე, მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

1. მუსიკალური ცენტრი უზრუნველყოფს:

ა) სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის განათლების სფეროში, საქართველოში არსებული სტანდარტებისა და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, მუსიკალური ცენტრის შენობაში სასწავლო პროცესის წარმართვისათვის საჭირო ტერიტორიის გამოყოფას;

ბ) სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის სასწავლო პრაქტიკის/სტაჟირების გავლას, მუსიკალურ ცენტრში არსებული ტექნიკური რესურსების გამოყენების გზით;

გ) ხელოვნების უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ მომზადებული წარმოდგენების და გამოფენების გასამართად, მუსიკალური ცენტრის შენობაში არსებული საკონცერტო დარბაზის და საგამოფენო სივრცის გამოყენებას;

ე) სხვა ღონისძიებების განხორციელებას ზემოხსენებული მიზნების მისაღწევად.

3. ცალკეული ღონისძიებების ჩატარებისა და სხვა სახის ერთობლივი მოქმედებების განხორციელების რეგულირება მოხდება მხარეებს შორის შემდგომი მოლაპარაკების შესაბამისად, წინამდებარე მემორანდუმის პრინციპების საფუძველზე.

მხარეები თანხმდებიან, რომ იმოქმედებენ თანასწორუფლებიანობისა და ერთმანეთის ინტერესების დაცვის პრინციპებზე აგებული თანამშრომლობის შესაბამისად.

მემორანდუმი შედგენილია ოთხი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ძალაშია 1 წლის განმავლობაში, მისი ხელმოწერის დღიდან. აღნიშნული მემორანდუმის ვადა შესაძლოა გაგრძელდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმებით. მემორანდუმის ხელმომწერი მხარის რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შემთხვევაში მემორანდუმი ძალას კარგავს აღნიშნულ მხარესთან მიმართებაში. მემორანდუმის გაუქმების შემდეგ მხარეებმა უნდა განახორციელონ ყველა აუცილებელი ღონისძიება მემორანდუმის ფარგლებში უკვე დაწყებული პროექტების დასასრულებლად.

მხარეები:

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
„ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური
ცენტრი"-ს დირექტორი — თენგიზ ჯაფარიძე

საჯარო სამართლის იურიდიული პირის -
ბათუმის ხელოვნების სასწავლო
უნივერსიტეტის რექტორი — ერმილე მესხია